<u>წერითი დავალება</u>

ნიმუში:

სიტუაციური კაზუსი:

თქვენ ახალი დანიშნული ხართ ორგანიზაციული პროცესების მენეჯერად კომპანიაში, რომელიც აწარმოებს საკვებ პროდუქტებს და პროდუქციას ანაწილებს სუპერმარკეტებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. თქვენი დანიშვნიდან მალევე შეიტყვეთ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი კლიენტი უკმაყოფილოა პროდუქციის მიწოდების დაგვიანებით, პროდუქტების დეფექტებითა და არასწორი კომუნიკაციით.

გარდა ამისა, თანამშრომელთა გუნდში შეინიშნება დემოტივაცია, ხშირია გადატვირთვა და დაბალი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დავალება:

1. **გააანალიზეთ მოცემული სიტუაცია – რომელი ძირითადი პრობლემებია იდენტიფიცირებული?**
2. **პრობლემები დაალაგეთ მათი მოგვარების პრიორიტეტულობის მიხედვით - რომელ საკითხებს მიაქცევდით ყურადღებას პირველ რიგში და რატომ?**
3. **სიტუაციის გაუმჯობესებისთვის შეიმუშავეთ 3-თვიანი ქმედითი გეგმის მონახაზი, რომელიც მოიცავს როგორც თანამშრომლების მართვას, ისე კლიენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.**
4. **განიხილეთ, როგორ შეაფასებდით თქვენი გეგმის ეფექტიანობას ამ პერიოდის ბოლოს.**